ქ.ზესტაფონში მერიის ადმინისტრაციული შენობის სველი წერტილების რეაბილიტაცია.

სოფელ ტაბაკინში შათირიშვილების უბანში წყაროს რეაბილიტაცია .

დაბა შორაპანში გაჩეჩილაძის ქუჩაზე წყალსადენის მოწყობა.

მოეწყო სოფ. ცხრაწყაროში, სოფელ მეორე სვირში ლომინაშვილების უბანში,და სოფელ მეორე სვირში ჯუღელელების უბანში არსებული არტეზიული ჭისთვის წყლის სამარაგო რეზერვუარის მონტაჟი და ელ/მომარაგება.

პროგრამული კოდი 02 0204 გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია

ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მოეწყო ქ. ზესტაფონში, გ. ნიკოლაძის ქუჩაზე,ზედა საქარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაბუაძე ფუტკარაძე კახელების უბანში, სოფელ ქვედა საზანოში აბესაძე ჭანტურიძეების უბანში, აღმაშენებლის ქუჩაზე N57-ის ეზოში, და სოფელ მეორე სვირში წმ.თომას სახელობის, წმ.გიორგის სახელობის და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე გარე განათება.

020205 - გარე განათების მოვლა-პატრონობა

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, სკვერების, მინი სტადიონების ღამის განათებებზე, ღამის განათების კუთხით. წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მოხდა ქალაქის სხვადასხვა ქუჩებსა და უბნებზე, სოფლებშიც ღამის განათების ახალი და მეორადი სანათი ფარების დამატება. გარდა ამისა ღამის განათების რკინის ბოძებზე ეტაპობრივად ხდება ელ. შედუღებითი და სამღებრო სამუშაოების ჩატარება.

| საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები | | | | | |
|--|---------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|-----------------------|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დადგემილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცთომილება | ცთომილების განმარტება |
| სანათების შეკეთება (რაოდენობა) | 1500 | 1500 | 1800 | +20% | |

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2481,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,2 %-ია. გამოყოფილი სახსრებიდან 1931,3 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას ღონისძიებებს, დასუფთავება და ნარჩენების გატანა სულ 17963,6 ათასი ლარი, კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა 126,4 ათასი ლარი, ხოლო უპატრონო ცხოველების მოვლის ღონისძიებებს მოხმარდა 11,4 ათასი ლარი.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | 2023 წლიური გეგმა | 2023 წლიური გეგმა | პროცენტი |
|-----------------|--|-------------------|-------------------|-----------|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2607,4 | 2481,8 | 95 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 2057,0 | 1931,3 | 94 |
| 03 01 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 1861,5 | 1793,6 | 96 |
| 03 01 03 | კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 184,0 | 126,4 | 69 |
| 03 01 04 | უპატრონო ცხოველების მოვლის ღონისძიებები | 11,5 | 11,4 | 99 |
| 03 02 | მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები და ურნები) | 550,4 | 550,4 | 100 |

ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზნებია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ორგანიზება, გზებზე, სოფლებში (ნაწილობრივ), პარკებისა და სკვერებში განთავსებული გარე განათების მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისა და განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა და უმეტესწილად დარჩენილი ძალების დაჭერა (მხოლოდ შემსყიდველის მითითებით) საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ჰუმანური/ უმტკივნეულო მეთოდებით ხელით/ლასოთი/ბადით; დეჰელმენტიზაცია (დამუშავება ჭიებზე, გარეპარაზიტებზე) სტერილიზაცია/ვასტრაცია/ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია (სპეციალური ძალებისათვის განკუთვნილი ქარხნული დანომრილი საჭდით, ბირკით ან საჭიროების შემთხვევაში ჩიპით) თითოეული მონაცემის ასახვა სარეგისტრაციო შესაბამის ბლანკში და ყველა საჭირო პროცედურის შესრულების შემდგომ დაბრუნება აყვანის ადგილას. სერვის ცენტრის მიერ ყოველდღიურად ხდება ქალაქის 16

ქუჩის, 19 სკვერის, 1 პარკის, აღმაშებლის ქუჩაზე, თამარ მეფის ქუჩაზე ახალი პოლიციის უკან ეზოში, რუსთაველის ქუჩაზე და კვალითის დასახლებაში მდებარე გაზონების (სულ 4 გაზონი), 4 სამკუთხედის, 7 წრის, სოფ. ცხრაწყაროში „თეატრონის“ ეზოს დაგვა-დასუფთავება, ქალაქის 90 ქუჩაზე და 2 მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის (ბუნკერი) მცხოვრები მოსახლეობიდან 120-150 მ3 საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. პერიოდულად ტარდება დასუფთავების აქციები ზესტაფონი-ხარაგაულის, ზესტაფონი-ჭიათურის, ზესტაფონი-ბაღდადის მაგისტრალზე და მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. ზედა საქარა, სოფ. ქვედა საქარა, სოფ. ქვედა სახანო, სოფ. ბოსლევი, სოფ. პირველი სვირი (ხობოულის დასახლება, სოფ. პირველი სვირის ხიდი), სოფ. მეორე სვირი ნაწილობრივ, სოფ. არგვეთა „წყაროებამდე“ და შაორგესის დასახლება, სოფ. შრომა). მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. არგვეთა, სოფ. ბოსლევი, სოფ. შრომა) არსებულ მინი სტადიონებზე, სოფ. მეორე სვირში და შორაპანში არსებულ იუსტიციის სახლებზე დამონტაჟებულ გარე განათების მოვლა პატრონობა. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე კერძო მესაკუთრეებიდან და ინდ.მეწარმეებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ყოველდღიურად სერვის ცენტრის ბალანსზე რიცხული სპეცტექნიკის საშუალებით. ზარის მეთოდის გამოყენებით ვემსახურებით ნაწილობრივ სოფლების და ქალაქის კერძო დასახლებულ უბნებში მცხოვრებ მოსახლეობას 4 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანის საშუალებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში პერიოდულად ტარდება დასუფთავების აქციები. 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გატანილი იქნა 13623,55 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი. გარდა ამისა, ააიპ სერვის-ცენტრის სპეც-ტექნიკის გამოყენებით მუშა მოსამსახურებმა გაიტანეს მოსახლეობის მიერ ქუჩაში დაყრილი სარემონტო-სამშენებლო ნაგავი. სერვის ცენტრის მიერ განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზის ნაპირების, ხიდებსა და სკვერებში ნალექის შედეგად დაგროვილი შლამის მოფხეკა და გატანა, სკვერებში და პარკებში ნალექის შედეგად მოტეხილი ხის ტოტების ჩამოხელება და გატანა. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი მრავალწლიანი მწვანე ნარგავებისა და გაშენებული (ხანდაზმული, გამხმარი, ავარიული) ნარგავების შეფასებისათვის შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული შეფასების შემდეგ სერვის ცენტრი ახდენს გამხმარი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბეღვას, რომლებიც ურიგდება სოციალურად დაუცველ ოჯახებს საწვავად-საშემედ. განვლილი 12 თვის მანძილზე 1053,1 მ3 საშემე მასალა განაწილდა და გადაეცა 442 სოციალურად დაუცველ ოჯახს. გარდა ამისა, 15,5მ3 საშემე მასალა გადაეცა 5 ადმინისტრაციულ ერთეულს და სოფლის სამედიცინო ამბულატორიას. ქალაქში და კვალითის დასახლებაში არსებულ ხიდებზე ჩატარდა სამღებრო სამუშაოები. შემოსული წერილების საფუძველზე ტარდება სანიაღვრე არხების გაწმენდითი და დაზიანებული ცხურების შედუღება- შეკეთების სამუშაოები. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე, პარკსა და სკვერებში, გაზონებზე, მინი სტადიონებზე ვაწარმოებთ ბალახის გაცეღვით სამუშაოებს. ვახორციელებთ ქალაქის მიდებარე ტერიტორიაზე კერძოდ, აღმაშენებლის ქუჩაზე (რკინიგზის მიმდებარედ) დარგული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე (რკინიგზის სადგურზე) და შორაპანში მდებარე საზოგადოებრივი რეიტერატის(ტულეტის) დალაგება-დასუფთავებას. სკოლებიდან, საბავშვო ბაღებიდან და მოსახლეობიდან შემოსული წერილების საფუძველზე ვახდენთ ტექნიკური წყლის მიწოდებას. ააიპ სერვის-ცენტრი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სოფლის ჩიხებსა და გზებზე ახდენს სპეც-ტექნიკით, ექსკავატორით სხვადასხვა სახის ღორღით მოსწორებით და გაწმენდით სამუშაოებს. სერვის ცენტრის მიერ ხორციელდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის და მუნიციპალიტეტის სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე უმეტესაყოფოდ დარჩენილი ცხოველების იზოლირება, კერძოდ: მოხეტიალე ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურების შესყიდვა და შესაბამისი მომსახურების გაწევა. ელექტრონული ტენდერში გამოვლენილი გამარჯვებული შემსრულებლის მიერ 12 თვის მანძილზე თავშესაფარში ტენდერის პირობების შესაბამისად გადაყვანილი იქნა 69 სული უმეტესაყოფოდ დარჩენილი ძაღლი. სისტემატური რეჟიმით ვაწარმოებთ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ საფუძველზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და ქალაქის სასაფლაოებზე დასაქმებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მიერ მოჭრილი ეკალ-ბარდების და მოგროვებული ნარჩენების გატანას. აგრეთვე, ამავე პროგრამის ფარგლებში დასაქმებული მეეზოვეებისა და საცხოვრებელი კორპუსების კიბის უჯრედების დამლაგებლების მიერ დაგვა-დასუფთავების შედეგად მოგროვებული ნარჩენების გატანას.

| საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები | | | | | |
|--|---------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|-----------------------|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დადგენილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცოიმილება | ცოიმილების განმარტება |
| გატანილი ნარჩენების რაოდენობა | 12615.84 | 12700 | 13623.55 | +7,3% | |
| ეკალ-ბარდების, ბალახების გაცეფვა კვ. მ. | 8000 | 7850 | 8000 | +1,9% | |
| გამოყენებულ შხამ-ქიმიკატები კვ. | 3 | 3 | 3 | 0% | |
| გამოყენებული კირის რაოდენობა ხეების გასათეთრებლად კვ. | 250 | 350 | 430 | 22,9% | |
| პროგრამული კოდი 03 01 04 მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა | 70 | 70 | 69 | -1,4% | |

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო დონისძიებები 2023 წლის განმავლობაში დაფინანსდა 4617,2 ათასი ლარის ოდენობით, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (4773,9 ათასი ლარი) , 97,2 პროცენტია.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | 2023 წლის წლიური გეგმა | ფაქტი | პროცენტი /შესაბამის პერიოდთან/ |
|-----------------|---|------------------------|--------|--------------------------------|
| 04 00 | განათლება | 6725,8 | 6538,9 | 97,2 |
| 04 01 | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება | 4773,9 | 4617,2 | 96,7 |
| 04 02 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა | 628,4 | 604,7 | 96,2 |
| 04 03 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა | 35,8 | 35,6 | 99,4 |
| 04 04 | საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 1281,4 | 1281,4 | 100 |
| 04 05 | ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა | 6,3 | 00 | 0 |

პროგრამული კოდი 0401- ააიპ ზესტაფონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ზესტაფონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შედის 41 სტრუქტურული ერთეული. 77 ასაკობრივ ჯგუფში 464,25 შტატზე დასაქმებულია 528 თანამშრომელი. 2023 წლის ბიუჯეტის წლიური გეგმა შეადგენს 4773,9ათას ლარს. შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 3549,2ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 1047,5ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე 14,5 ათასი ლარი, არაფინანსურ აქტივების ზრდა 5,9 ათასი ლარი. გაერთიანებაში 2023-2024 წლის ტარიფიკაციით ირიცხება 1582 ბავშვი, წლიური კვების ხარჯი დაგეგმილია 1350 ბავშვზე. წლიურმა საშუალო გამტარიანობამ შეადგინა 9871 ბავშვი, რომელზეც დღიურად დაწესებული 3.84 ლარის ნაცვლად, ფაქტიურმა ხარჯვამ 1 ბავშვზე შეადგინა 3.31 ლარი. კვებაში ფაქტიური ხარჯი შეადგენს 575,1ათას ლარს, ნაცვლად გეგმიური 692,1ათასი ლარისა ანუ 83 %; წლიური საკასო შესრულებიდან გამომდინარე 1 ბავშვის დღიური კვება დაჯდა 2.91 ლარი (575053:9871=58.25:20=2.91) წლიური შედეგების მიხედვით კვების მუხლში დარჩენილი აუთვისებელი თანხა გამოიწვია აღსაზრდელთა უპრეცედენტო დაბალმა გამტარიანობამ ქვეყანაში გავრცელებული ვირუსული გრიპებისა და სხვადასხვა ინფექციური დაავადებების (ე.წ ბატონები) გამო. ასევე სასწავლო წლის დაწყების პერიოდში ბავშვთა არასტაბილურმა შემოდინებამ. სულ გართიანების წლიურმა ფაქტიურმა ხარჯმა შედგინა 4617,2ათასი ლარი, ანუ გეგმიურის 97,2 %-ი.

| საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები | | | | | |
|--|---------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|--|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დადგენილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცთომილება | ცთომილების განმარტება |
| აღსაზრდელი ბავშვების რაოდენობა | 1775 | 1300 | 987 | -24,1% | აღსაზრდელთა უპრეცედენტო დაბალმა გამტარიანობამ ქვეყანაში გავრცელებული ვირუსული გრიპებისა და სხვადასხვა ინფექციური დაავადებების (ე.წ ბატონები) გამო. |

პროგრამული კოდი 04 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა

ბიუჯეტიდან დაფინანსდა და დასრულებულია შემდეგი პროექტები:

- ქალაქ ზესტაფონში N1 საბავშვო ბაღის ოთახის რეაბილიტაცია
- ქალაქ ზესტაფონში N5 საბავშვო ბაღის ოთახის რეაბილიტაცია
- ქალაქ ზესტაფონში N7 საბავშვო ბაღის ოთახის რეაბილიტაცია
- სოფელ ტაბაკინის N22 საბავშვო ბაღის ოთახის რეაბილიტაცია
- სოფელ ჭალატყის N35 საბავშვო ბაღის ოთახის რეაბილიტაცია
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.ბოსლევის N28 საბავშვო ბაღის შემოღობვა
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.დილიკაურის N31 საბავშვო ბაღის შემოღობვა
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.ზედა საქარის N32 საბავშვო ბაღის შემოღობვა
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.არგვეთის N34 საბავშვო ბაღის შემოღობვა
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.მეორე სვი რის N11 საბავშვო ბაღის შემოღობვა
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.ცხრაწყაროს N19 საბავშვო ბაღის შემოღობვა
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.კლდეეთის N20 საბავშვო ბაღის შემოღობვა
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.ზორვეთის N27 საბავშვო ბაღის შემოღობვა

პროგრამული კოდი 04 03 ზოგადი განათლების ხელშეწყობა

განხორციელდა ღონისძიებები: - მერიის მიერ მოწვეული ორგანიზატორის მიერ ჩატარდა ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი, ორგანიზატორი და 10 წარჩინებული მოსწავლე წახალისების მიზნით დაჯილდოვდა 200-200 ლარით. ასევე დაჯილდოვებული იქნა 4 მოსწავლე 500 ლარით -ინტელექტის ოლიმპიადაში გამარჯვებული. გადაეცათ ფულადი ჯილდო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100% იანი გრანტის მქონე 21 მოსწავლეს თითოეულს 1500 ლარის ოდენობით..

პროგრამული კოდი 04 04 - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით გახარჯულია 1281,4 ათასი ლარი, გეგმიურის 100 %-ი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებზე 2023 წელში გაწეული იქნა 5269,2ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5720,1 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 92%. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1335,3 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას 3039,8 ათასი ლარი, ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 42,8 ათასი ლარი,ეპარქიის ხარჯები165,0 ათასი ლარი, ააიპ საკალთბურთო კლუბი მარგვეთი 80,0 ათასი ლარი.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი /შესაბამის პერიოდთან/ |
|-----------------|---|-----------------|-----------------|--------------------------------|
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 5720,1 | 5262,9 | 92,0 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2034,9 | 1935,3 | 95,1 |
| 05 01 01 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში (სპორტის ღონისძიება) | 156,6 | 155,2 | 99,1 |
| 05 01 02 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს. საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა | 502,2 | 489,9 | 97,6 |
| 05 01 03 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ. სალამის სახ.სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი | 723,5 | 696,3 | 96,2 |
| 05 01 05 | დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის , მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა | 652,6 | 594,0 | 91,0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 3397,5 | 3039,8 | 89,5 |
| 05 02 01 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა | 83,9 | 81,7 | 93,4 |
| 05 02 02 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა | 275,4 | 274,6 | 99,7 |
| 05 02 03 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი | 794,0 | 783,5 | 98,7 |
| 05 02 04 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება | 98,2 | 97,6 | 93,4 |

| | | | | |
|----------|---|--------|--------|------|
| 05 02 05 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა | 306,4 | 306,1 | 99 |
| 05 02 06 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა | 261,8 | 257,5 | 98,4 |
| 05 02 07 | მეგლთა დაცვა | 2,1 | 2,1 | 100 |
| 05 02 08 | იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯები | 82,7 | 82,7 | 100 |
| 05 02 09 | კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა | 1375,8 | 1112,0 | 80,8 |
| 05 02 10 | კულტურის ღონისძიებების დაფინანსება | 117,2 | 42,0 | 35,8 |
| 05 03 | ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება | 42,8 | 42,8 | 100 |
| 05 04 | ეპარქიის ხარჯები | 165,0 | 165,0 | 100 |
| 0505 | აიპ საკალთხურთო კლუბი მარგვეთი | 80,0 | 80,0 | 100 |

050101-მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში (სპორტის ღონისძიება)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში, კალათბურთში, ჭიდაობაში ფალავნობა, საქართველოს ჩემპიონების, ოლიმპიური ჩემპიონების, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებზე გაიცა ერთჯერადი წამახალისებელი პრემია. დაფინანსდა ქვეყნის გარეთ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში სპორტსმენთა მივლინების ხარჯები. ჩატარდა ს. საყვარელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ფარიკაობაში, ტურნირები ჭადრაკში, ნარდში, კრივში. განხორციელდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, ჩატარდა სატენდო სროლა და ფეინთბოლი, დოლი.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|--------------------------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 წლის საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომილების განმარტება |
| | 20 | 20 | 25 | +5 | წლის განმავლობაში მოთხოვნილი ღონისძიება |
| | | | | | |

05 01 02 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს. საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა

2023 წელი ნაყოფიერი და წარმატებული იყო ა.ა.ი.პ. სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის კოლექტივისთვის და სპორტსმენებისთვის, როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასპარეზზე. სპორტული სკოლის სპორტსმენებმა წარმატებით ჩაატარეს არაერთი სპორტული შეჯიბრება, როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, შიდა ტურნირებზე, ასევე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებშიც მოიპოვეს წარმატება. საქართველოს მასშტაბით, მონაწილეობა მიიღეს 126 სპორტულ ღონისძიებაში, საიდანაც მოპოვებული იქნა 364 მედალი, რომლებიც ნაწილდება I, II და III ადგილებს შორის. ასევე, ჩვენმა სპორტსმენებმა, აქტიურად და წარმატებით იასპარეზეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ჩემპიონატებზე: პორტუგალიის რესპუბლიკაში ჩატარებულ ტურნირზე, ჭიდაობა ძიუდოში, პირველი ადგილის მლობელი გახდა, სპორტული სკოლის სპორტსმენი, გურემიძე შალვა. უზბეკეთის რესპუბლიკასი ჩატარებულ ტურნირზე, კარატეში, II-III ადგილის მფლობელები გახდნენ: ბეჟუაშვილი ბექა და სამხარაძე ტატო. არაბთა გაერთიანებულ საემირატოებში ჩატარებულ ტურნირზე, III საპრიზო

ადგილის მფლობელი გახდა, სპორტული სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელი, ლევან ჩუბინიძე. უნგრეთის რესპუბლიკაში ცატარებულ ტურნირზე, ჭიდაობა ძიუდოში I საპრიზო ადგილის მფლობელები გახდნენ: სპორტსმენი გურეშიძე შალვა და მწვრთნელი ლევან ჩუბინიძე. საფრანგეთის რესპუბლიკაში ჩატარებულ ტურნირზე, კარატეში, I და III საპრიზო ადგილის მფლობელები გახდნენ მწვრთნელ მასწავლებლები: სამხარაძე ტატო და ლონდაძე ირაკლი. სპორტსმენები: ჭუმბაძე ივანე და მიგანიძე მათე. ისრაელის რესპუბლიკაში ჩატარებულ ტურნირზე, ჭიდაობა სამბო, III ადგილის მფლობელები გახდნენ, ამავე სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელი ლილუასვილი მინდია და სპორტსმენები: დვალი გიორგი და სვიანაძე ნოდარი. ავსტრიის რესპუბლიკაში ჩატარებულ ტურნირზე, ძიუდოში, I და II ადგილის მფლობელები გახდნენ, ამავე სკოლის სპორტსმენები: გურეშიძე შალვა და ტაბატაძე უჩა. ჩეხეთის რესპუბლიკაში ჩატარებულ ტურნირზე, ჭიდაობა ძიუდო I ადგილის მფლობელი გახდა, ამავე სკოლის სპორტსმენი, გურეშიძე შალვა. ბულგარეთის რესპუბლიკაში ჩატარებულ ტურნირზე, კარატეში, I ადგილის მფლობელები გახდნენ, ამავე სკოლის მწვრთნელი სამხარაძე ტატო და სპორტსმენი ბეჟუაშვილი ბექა. საერთო ჯამში, სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლიდან, საქართველოს ნაკრებში ირიცხება 24 სპორტსმენი სხვადასხვა სახეობაში და ასაკობრივ კატეგორიაში. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ 2023 წელი საკმაოდ წარმატებულად დასრულდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, სპორტული სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლებს და ადმინისტრაციას.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|--|--------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|------------------------|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 წლის საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომელების განმარტება |
| ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის რაოდენობა | 120 | 130 | 126 | -3,1% | აღარ ჩატარდა შეჯიბრება |

05 01 03 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ. სალაძის სახ. სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი

სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრში დღეის მდგომარეობით სპორტის 10 სახეობას ეუფლება 590 მდე მოსწავლე სპორტსმენი. შტატების რაოდენობა შეადგენს 51 ერთეულს. სასახლის ბაზაზე არსებული საფეხბურთო გუნდი "მარგვეთი 2006" განაგრძობს კალენდარულ თამაშებს, ამჟამად იმყოფება სატურნირო ცხრილის მეოთხე ადგილზე. სასახლის ბაზაზე ჩამოყალიბებული არის 7 ასაკობრივი საფეხბურთო გუნდი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ბავშვთა რეგიონალურ ჩემპიონატში და აღწევენ წარმატებებს. ჩვენს ცენტრთან არსებული ამპუტანტ ფაზბურთელთა გუნდმა წარმატებით იასპარეზა საქართველოს თასის გატამაშებაში ათამაშებაში და მოიპოვეს პირველი ადგილი. კრივში მოასპარეზე სპორტსმენებმა საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის აიღეს 2 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი, ჭაბუკებს შორის პირველობაში აიღეს 1 ვერცხლის მედალი აგრეთვე 2 პირველი, 2 მეორე და 2 მესამე ადგილები. კუნგუფუს ასპარეზობაში მოიპოვეს 5 პირველი, 3 მეორე, 2 მესამე ადგილი ახალგაზრდებს შორის აიღეს 2 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|---|--------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|-----------------------|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 წლის საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომელების განმარტება |
| ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა | 60 | 65 | 65 | 0% | |

| | | | | |
|--|---|---|---|----|
| ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 7 | 7 | 7 | 0% |
|--|---|---|---|----|

(05 02 01) ა.ა.ი.პ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა

სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია: სუბსუიდა გეგმა - 83,8 ათასი ლარით. საკუთარი შემოსავლების გეგმა: 8,8 ათასი ლარი. სკოლა დაგეგმილია 10 სამტატო ერთეულზე. (4 ტექპერსონალი 6 მასწავლებელი). დასაქმებულია 9 თანამშრომელი. (4 ტექპერსონალი 5 მასწავლებელი). მოსწავლეთა კონტიგენტი 2022-2023 სასწავლო წელში განისაზღვრება 83 მოსწავლით. რომელიც გადანაწილებულია ჯგუფებად აქედან 2 მოსამზადებელი კლასი 39-39 მოსწავლით. სკოლაში ისწავლება სხვადასხვა დისციპლინები: ხატვა. ფერწერა. კომპოზიცია. ქანდაკება. დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება. (გობელინი, ხეზე კვეთა, მინანქარი). ხელოვნების ისტორია ინდივიდუალურად დაინტეგრირების მიხედვით.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|--------------------------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|------------------------------|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 წლის საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომელების განმარტება |
| სემესტრული გამოფენა | 2 | 2 | 8 | +300% | მოსწავლეთა ინიციატივით |
| მოსწავლეთა რაოდენობა | 81 | 78 | 83 | 6,4% | მომართვიანობიდან გამომდინარე |

(05 02 02) ა(ა)იპ-ი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

ა(ა)იპ-ი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკამ 2023 წლის მანძილზე საბიბლიოთეკო სისტემაში ჩაატარა 27 დასახელების ღონისძიება. მოემსახურა 5589 მკითხველს წიგნებით, ხოლო კომპიუტერით 827 მკითხველს, ჟურნალ გაზეთები გაიცა -16610 -ჯერ.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|--|--------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|-----------------------|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 წლის საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომელების განმარტება |
| ელექტრონულკატალოგში ასახული წიგნები | 61200 | 63200 | 69803 | +10,4% | |
| ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 15 | 18 | 18 | 0% | |
| მკითხველის რაოდენობა | 7500 | 8000 | 8250 | +3,1% | |
| წიგნების რაოდენობა | 167946 | 168230 | 168757 | +0,3% | |

(05 02 03) ა(ა)იპ-ი ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი.

2023 წელი ნაყოფიერი იყო ზესტაფონის კულტურისა და შემოქმედების ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივებისათვის. როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასპარეზზე კულტურის ცენტრის ქორეოგრაფიულმა და მომღერალთა გუნდებმა წარმატებით ჩაატარეს არაერთი კონცერტი თუ ჩვენება. მონაწილეობა მიიღეს ფესტივალებსა და კონკურსებში, რომლებიც საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში გაიმართა და არამხოლოდ

საქართველოს ქალაქებში - 2023 წელი განსაკუთრებული იყო საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატებებითაც. 2023 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ესპანეთში გამართული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში კულტურისა და შემოქმედების ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა, (მთავარი ქორეოგრაფი ხვიჩა ხარაზიშვილი, ქორეოგრაფი მთვარისა ჩაფიჩაძე) სადაც ანსამბლმა სპეციალური პრიზი დაიმსახურა საუკეთესო ფოლკლორული ნომრების წარმოდგენისათვის. მნიშვნელოვანი იყო რეგიონალურ ტრადიციულ ფესტივალში, „სულიკო 2023“-ში კულტურის ცენტრის მომდერალთა გუნდების წარმატებული მონაწილეობა, სადაც სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ზესტაფონის“ მომდერალ ვაჟთა ანსამბლმა წარმატებით იასპარეზა, (ლოტბარი ალექსანდრე ხახიშვილი). ასევე წარმატებული იყო კულტურის ცენტრთან არსებული მომდერალთა ანსამბლ „ბერმუხასათვის“, (ხელმძღვანელი ომარ გველესიანი), რომელმაც ფესტივალის მთავარი პრიზი - გრან პრი დაიმსახურა. ფესტივალ „სულიკო 2023“ -ში წარმატებული მონაწილეობა მიიღო კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებულმა მომდერალ ქალთა ანსამბლმა „ჰარმონიამ.“(ხელმძღვანელი ალექსანდრე ხახიშვილი). აღსანიშნავია კულტურისა და შემოქმედების ცენტრის ბავშვთა შემოქმედებითი კოლექტივების 2023 წლის წარმატებული მოღვაწეობა. კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებულმა ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „ჯავარდენის“ მომდერალმა ბავშვებმა (ხელმძღვანელი ევა ბარბაქაძე) წარმატებით მიიღო მონაწილეობა მარნეულში გამართულ სიმღერის საერთაშორისო კონკურსში „სხვა საქართველო სად არის“, სადაც მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. იგივე ანსამბლმა ლაურეატის წოდება მიიღო ქალაქ სენაკში გამართულ ვალერიან შიუკაშვილის სახელობის კონკურსში. ასევე წარმატებით იასპარეზეს „ჯავარდენელებმა“ ბორჯომის მუსიკალურ ფესტივალში, სადაც ლაურეატის წოდება მიიღეს. ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ჯავარდენმა“ (ხელმძღვანელი ირაკლი ბაკაშვილი) 2023 წელს მონაწილეობა მიიღო ქალაქ მცხეთაში გამართულ ბავშვთა ქორეოგრაფიული კოლექტივების რესპუბლიკურ ფესტივალში „იმერული შემოდგომის ფერები“, სადაც ანსამბლმა ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა ცეკვა „კინტაურისა“ და „მთიულურის“ საუკეთესო შესრულებისათვის. 2023 წელი წარმატებული იყო კულტურისა და შემოქმედების ცენტრის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის „იმერისათვის.“ (ხელმძღვანელი რეზო შარიქაძე) ანსამბლმა თბილისში გამართულ ფოლკლორის რესპუბლიკურ ფესტივალზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. 2023 წელი გამორჩეული იყო კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა თეატრ-სტუდია „იმერეთის მარგალიტების“ ნორჩი მსახიობებისათვის (ხელმძღვანელი დოდო მერკვილიშვილი). თბილისში გამართულ ახალგაზრდა კინომოყვარულთა მე-15 კინოფესტივალზე სტუდიის მსახიობებმა თავიანთი კინემატოგრაფიული ნამუშევარი, მოკლემეტრაჟიანი ფილმი „იმერელი ბიჭი“ წარადგინეს, რომელმაც ჟიურის სპეციალური პრიზი - „საუკეთესო დებიუტი“ დაიმსახურა. 2023 წელი ასევე წარმატებული იყო კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებული ახალგაზრდული თეატრ-სტუდია „მართვე“ სთვის (რეჟისორი ზურაბ აბესაძე). თეატრ-სტუდიამ წლის განმავლობაში სამი პრემიერა მისცა სპექტაკლებისა „მუსუსი,“ „გამოცდა“ და „ანა ფრანკის დღიური“. 2023 წლის განმავლობაში კულტურის ცენტრთან არსებულმა თოჯინების თეატრმა (ხელმძღვანელი მარეხ აბესაძე) 32 წარმოდგენა გამართა ბავშვებისათვის. ასევე მონაწილეობა მიიღო ქობულეთში გამართულ თოჯინების თეატრების რესპუბლიკურ ფესტივალში, სადაც საუკეთესო თოჯინური წარმოდგენისათვის ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო. ცენტრის 2023წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 794,0 ლარი. ათვისებულია: 783.5ლარი, საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 10660 ლარი. 2023 წლის განმავლობაში ჩატარდა 42 სხვადასხვა სახის ღონისძიება - სპექტაკლი კონცერტი და ა.შ.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|--|--------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|--|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 წლის საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომელების განმარტება |
| ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 39 | 26 | 42 | +62% | გაიზარდა ფესტივლების კონკურსების და სპექტაკლების რაოდენობა |

(05 02 04) ა.ა.ი.პ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

მუზეუმების გაერთიანებამ დაიწყო ახალი გასვლითი პროექტი მესამე-მეოთხე კლასის მოსწავლეებისათვის: „მუზეუმი მუზეუმის ფარგლებს გარეთ: ერთი მცირე ზომის ქანდაკების ისტორიით“. მუზეუმმა ივნისის თვის ბოლოს

უმასპინძლა ორ კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელებს „ბაბილინასა“ და „პროლოგის“, ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ბაღებს. მათთვის გამიზნული პროექტით : „მუზეუმი ყველაზე პატარებისათვის“. სექტემბრის თვეში მუზეუმში გაიხსნა გაერთიანების ფონდში დაცული ფერწერული, გრაფიკული და ჭედური ნამუშევრების გამოფენა. გაერთიანებამ ასევე მონაწილეობა მიიღო ზესტაფონქალაქობაში. მუზეუმების გაერთიანებაში კერძოდ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომელის დასრულების შემდეგ, განახლებულ სივრცეში მოეწყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში დაცული ფერწერული და ჭედური ნამუშევრების გამოფენა, ასევე ჩატარდა მხატვრული კითხვის კონკურსი მიმდევნილი უშანგი ჩეიძის დაბადების 125 წლისთავისადმი „კითხულობს მასწავლებელი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საჯარო სკოლის პედაგოგებმა და დირექტორებმა. ხოლო უშანგი ჩეიძის სალმ-მუზეუმში ჩატარდა საიუბილეო სადამო მიმდევნილი დიდი მსახიობის საიუბილეო წლისადმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სოფელ კვალითის საჯარო სკოლის მე-9 კლასელებმა. გაერთიანებას ესტუმრა 1193 დამთავალიერებელი.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|--------------------------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|-------------------------------------|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 წლის საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომილების განმარტება |
| კულტურული ღონისძიებები | 8 | 8 | 8 | 0% | |
| ვიზიტორების რაოდენობა | 1473 | 850 | 1193 | +40,4% | შემცირების მიზეზი - შენობის რემონტი |

(05 02 05) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა.

სამუსიკო სკოლაში 2023 წელს 245 მოსწავლე ეუფლებოდა 4 სხვადასხვა სპეციალობას, როგორცაა: ფორტეპიანო, გიტარა, ვიოლინო, საესტრადო ვოკალი, აქედან 22 სოციალურად დაუცველი ბავშვი სკოლას თავისი ხარჯებით ყავს გათავისუფლებული გადასახადიდან. ზესტაფონის რ. ლაღიძის სამუსიკო სკოლა, რომელმაც დაარსებიდან 90 წლის იუბილე მასშტაბურად აღნიშნა, კვლავ აქტიურად აგრძელებს მოსწავლეთა წარმოჩენას სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში და მუსიკალურ პროექტებში. რესპუბლიკურ კონკურს-ფესტივალებში „ მომავლის ვარსკვლავი“ და „იპოვე ვარსკვლავი შენი“ მოსწავლეებმა მოიპოვეს I-II-III საპრიზო ადგილები, საპატიო ნომინაციები და გრან-პრი. სამუსიკო სკოლას მიენიჭა წოდება „წარმატებული სკოლა“ და სპეციალური პრიზი. ქართული მუსიკის VII ეროვნულ კონკურსზე, რომელიც ჩვენს ქალაქში ჩატარდა, ჩვენმა პატარა მუსიკოსებმა მოიპოვეს 2- I , 1- II , 3 – III პრემიები და ლაურეატის წოდებები. ასევე წარმატებული აღმოჩნდა კ. ჩერნის სახელობის პირველი ეროვნული კონკურსი, სადაც მოსწავლეებმა სამივე საპრიზო ადგილი დაიმსახურეს. საესტრადო ვოკალის განყოფილების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში „ვიმღეროთ ერთად“ -დათო არჩვაძესთან ერთად.ღირსეულად წარვსდექით სენაკის მე-10 საიუბილეო ფესტივალზე, სადაც გუნდმა მოიპოვა ლაურეატის წოდება, ყველა მონაწილე კი საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე BORJOMI -2023 დავიმსახურეთ მე-3 ადგილი და ლაურეატის წოდება. მონაწილეობა მივიღეთ პიანისტ ელისო ბოლქვაძის მიერ დაარსებულ ბათუმის „ შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალის“ ფარგლებში, ფრანგი პიანისტის და მეთოდისტის, მასეტრო მიშელ სონის მასტერ კლასებში.ასევე, ბათუმში გამართულ პროექტში „ფესტივალიდან - ფესტივალამდე“ ჩვენი მოსწავლეები უკრავდნენ და მღეროდნენ ბათუმის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. მიმდინარე 2023 წელს რ. ლაღიძის სამუსიკო სკოლამ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით უმასპინძლა იმერეთის რეგიონის 7 მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილ, ხანდაზმულ პედაგოგებს, რომლებიც საქართველოს

ხელოვნების აკადემიის რექტორმა, პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა დააჯილდოვა საპატიო დიპლომებით. სამუსიკო სკოლამ უმასპინძლა კომპოზიტორ კახა ცაბაძეს და კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს გიორგი შავერზაშვილს, რომელმაც მიგვიწვია კონცერტის გასამართად თბილისის კომპოზიტორთა სახლის სარკეებიან დარბაზში, სადაც კვლავ მერიის ხელშეწყობით გავემგზავრეთ და წარმატებულად წარმოვაჩინეთ მოსწავლეთა შემოქმედება საკმაოდ კომპეტენტური მსმენელის წინაშე. ასევე, ჩვენმა ვოკალისტმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო კახა ცაბაძის საავტორო კონცერტში. ფესტივალში „სხვა საქართველო სად არის“ წარმატების შემდეგ სამუსიკო სკოლის ვოკალისტი გოგონა მიწვეული იქნა პოს ტვ -ის ტელევიზიაში, სადაც კიდევ ერთხელ გაჟღერდა ზესტაფონის რ. ლალიძის სახ. სამუსიკო სკოლის სახელი და მისი წარმატებები.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|--|--------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|----------------------------------|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 წლის საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომელების განმარტება |
| ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 20 | 25 | 23 | -8% | დამატებით ჩატარდა ორი ფესტივალი, |

(05 02 06) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლას 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯმა შეადგინა 257,5 ათასი ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებაზე 225,5 ათასი ლარი. სკოლას ასევე აქვს საკუთარი შემოსავლები. 2023 წლის 12 თვის მდგომარეობით სკოლაში სულ შემოსულია 22,2 ათასი ლარი. საიდანაც ფაქტიურად გაიხარჯა ოფისის ხარჯებისათვის 12,2 ათასი ლარი.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|--|--------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------|--|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 წლის საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომელების განმარტება |
| ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 10 | 10 | 10 | 0% | |
| ღონისძიების დასახელება რაც წარმოდგენილი გაქვთ პროგრამულ ბიუჯეტში | 0 | 1 | 1 | 0% | დამატებით ჩატარდა შიუკაშვილის სახელობის ფესტივალი. |

050207 -ძეგლთა დაცვა

სულ წლიურმა ხარჯმა შეადგინა 2,1 ათასი ლარი, გეგმიური ხარჯის 100 %-ი.

050208 - იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯი

საიუბილეო ღონისძიებები: „სულიკო 2023“ და „ზესტაფონობა 2023“, სიმღერის ფესტივალში გამარჯვებული კონკურსანტების წახალისება ფულადი ჯილდოებით, უშანგი ჩხეიძის საიუბილეო საღამოს ორგანიზებისათვის - გადაეცათ ფულადი ჯილდო პედაგოგებს.

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | განმარტება |
|--------------------------------------|----------------------------|---------------------------|-----------------------------------|--|------------|
| 2022 საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | | |
| 2 | 2 | 5 | | | |

0503 -ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება

ჩატარდა ღონისძიებები: 9 აპრილის ღონისძიება, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?

